სოფელ მელექედურში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პროექტის „ჩაის გზის“ მე-5 ტურისტული ლოკაცია გაიხსნა

პროექტი „ჩაის გზა“ უკვე ხუთ ლოკაციას მოიცავს, რომელიც ტურისტებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს სთავაზობს მონაწილეობა მიიღოს ჩაის კრეფის და გადამუშავების პროცესში, შემდეგ კი სადეგუსტაციო სივრცეში დააგემოვნოს ადგილობრივი ნაწარმი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, **კონსტანტინე შარაშენიძემ** და მერიის ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, **ალეკო მამეშვილმა** მეწარმე **ლანა ჟღენტს** პროექტ „ჩაის გზის“ მონაწილეობის დამადასტურებელი მოწმობა გადასცა.

აღნიშნულ სოფელში, მეწარმე ლანა ჟღენტის ჩაის საოჯახო საწარმოს, საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი - **იმამურა აკირა,** სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში, **გიორგი ურუშაძე;** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, **ხატია წილოსანი;** აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, **ნინო წილოსანი** და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, **კონსტანტინე შარაშენიძე** სტუმრობდნენ და მოსამზადებელ სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ.

სიახლე მეჩაიე ფერმერებისთვის - ჩაის ბუჩქის გასხვლის ინოვაციური ტექნიკური საშუალება“

2021 წლის 15 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, წვერმაღალას პარკში გამართულ გურიის აგროტურისტულ ფესტივალზე - „ჩაის გზა“, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტმა წარადგინა „ჩაის ბუჩქის

გვ-3

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 22 (10392) 19 ივლისი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია იაპონიის საელჩოს საგრანტო პროგრამის გამარჯვებული გახდა

პროექტის ფარგლებში, შეძენილ იქნა 57 329 დოლარის ღირებულების მცირეგაბარიტიანი ნარჩენების შემგროვებელი მანქანა და პლასტმასის შეგრო-ვებისთვის განკუთვნილი urნები, რომლებიც განთავსდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზღვისპირეთში. ტექნიკის შეძენა ქალაქ ოზურგეთის და გურიის რეგიონის მიერ შემუშავებული მწვანე სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა, რაც დაეხმარება მუნიციპალიტეტს გადავიდეს ნარჩენების სეპარირებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ნარჩ-ენების მართვის უფრო მდგრადი მოდელის შექმნას.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტს იაპონიის საელჩოს მიერ, საგრანტო კონკურსის ფარგლებში შეძენილი ნარჩენების შემგროვებელი მცირე გაბარიტიანი ავტომანქანა და urნები გადაეცა. ამ პროექტის განხორციელებით შესაძლებ-ლობა მოგვეცა გურიის რეგიონში არსებულ საზღვარ კურორტზე ჩამოსულ დამსვენებელს დავანახვოთ ბევრად უფრო მოწესრიგებული გარემო და გურიის რეგიონი გავხადოთ უფრო მიმზიდველი,“- განაცხადა სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში ***გიორგი ურუშაძემ.***

ღონისძიებას საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი - მისი აღმატებულება ბატონი **იმამურა აკირა,** სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურ-უშაძე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ხატია წილოსანი**, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ნინო წილოსანი** და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, **კონსტანტინე შარაშენიძე** ესწრებოდნენ.

გურიის აგროტურისტული ფესტივალი „ჩაის გზა“ წვერმაღალას პარკში

ალიონი. ფესტივალს სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **გიორგი ურუშაძე,** საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი **ანა ჩერნიშოვა,** საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი - მისი აღმატებულება ბატონი **იმამურა აკირა,** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ხატია წილოსანი**, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ნინო წილოსანი** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

— ეს არის ჩემი პირველი ვიზიტი გურიაში მას შემდეგ, რაც დეკემბერში ვესტუმრე საქართველოს. როცა გავიგეთ რომ იმართებოდა ჩაის გზის ფესტივალი, მაშინვე სურვილი გაგვიჩნდა მონაწილეობა მიგველო მასში. ჩვენ ძალიან დიდ სიამოვნებას ვიღებთ თქვენი შესანიშნავი კულინარიული ტრადიციებისგან, დიდ სიამოვნებას ვიღებთ თქვენი ბუნებისგან და, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან ძვირფასია თითოეული ადამიანი, რომელსაც ვხვდებით საქართველოში. ეს არის სამი აუცილებელი კომპონენტი ნებ-ისმიერი ტურიზმისთვის. თქვენ სამივეში ძალიან დიდი ძალა გაგაჩნიათ. ამიტომ დარწმუნებული ვარ რომ სასოფლო-სამეურნეო ტურიზმი გურიაში ძალიან განვითარდება.

ჩაის გზის იდეა ჩემთვის, როგორც იაპონელისთვის, ძვირფასი იდეაა, რადგან ჩვენს ქვეყანაში ჩაი წამყვანი კულტურაა. იაპონელს რომ ესტუმრები, ჯერ მწვანე ჩაის მოგართმევს, შემდეგ კი როგორც მოგესურვებათ, ისე შეათვალიერებთ მენიუს. ჩვენ დიდი პლანტაციები გვაქვს, თუმცა იაპონიაში ჩაი არ დამიკრეფია. დღეს კი გურიაში მოვკრიფე ჩაი. ვამყობ, რომ სასოფლო - სამეურნეო ტურისტი ვარ თქვენს ჩაის გზაზე. მინდა, ჩვენი გამოცდილება გაგიზიაროთ—იაპონიაში ჩაის მიირთმევენ მცირე ოთახში, რაც მედიტაციაა. სასურველია ჩვენი გამოცდილება გაიზიაროთ, ეს მნიშვნელოვანია თქვენთვის. ვფიქრობთ 1 მილიონი ლარის ინვესტიციას განვახორციელებთ ჩაის სექტორში. ულრმესი მადლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, მერიას, გაეროს განვითარების ფონდს, რადგან ამ შესანიშნავ იდეას, ყველამ ერთად, დასაბამი შეუქმნა. — განაცხადა იაპონიის ელ-ჩმა **იმამურა აკირამ.**

.—მოგესალმებით. ბედნიერივარ, რომ გურიაში ვარ! რა კარგი ხალხიც ცხოვრობს აქ! მინდა დავაფიქსირო ჩემი სიხარული მისი უდიდებულესობა, იაპონიის ელჩის მიმართ, რომელიც ჩვენი პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერია . ჩვენი სიძლიერე იმაშია, რომ ვიპოვეთ გადაკვეთის წერტილი და ესა რის „ჩაის გზა“ და ეს მოხდა გურიაში! გურია არის ის ადგილი, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩემს გულში. ის ჩემთვის ძალიან მაღალი ხარისხის ჩაისთან ასოცირდება! გარდა ჩაისა, გაეროს აქვს გაცილებით მეტი შეთავაზებები გურულებისთვის —სამთო ტურ-

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

კობახიძის, თალაკვაძისა და პაპუაშვილის განცხადება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევასთან დაკავშირებით

გავრცელდა ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის განცხადება უზენაესი სასამართლოს მოსამართ-ლეების არჩევასთან დაკავშირებით, სადაც ნათქვამია, რომ მოსამართლეების არჩევა 19 აპრილის პოლიტიკურ შეთანხმებას ეწინააღმდ-ეგებოდა.

გვსურს, გამოვხატოთ ღრმა პატივისცემა სახელმწიფო მდივნის მიმართ და პარტიის პოლიტიკურ გუნდთან შეთანხმებით, კიდევ ერთხელ განვმარტოთ საპარლამენტო უმრავლესობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველი.

როგორც საზოგადოებას მოეხსენება, ამა წლის მარტში წარმოებდა აქტიური მოლაპარაკებები 19 აპრილის შეთანხმების შინაარსის გარშემო. უზენაესი სასამართლოს მოსამართლ-ეების არჩევასთან დაკავშირებული პუნქტები ჩვენ – ირაკლი კობახიძემ, არჩილ თალაკვაძემ და შალვა პაპუაშვილმა უშუალოდ შევთანხმეთ საერთაშორისო პარტნიორებთან. კერძოდ, შეთანხმების თანახმად, უნდა „დაპაუზებულიყო“ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის მიმდინარე პროცესი, უნდა გადასინჯულიყო შერჩევის პროცედურა ვენეციის კომისიის საკვანძო რეკომენდაციების შესაბა-მისად, შეცვლილი კანონის საფუძ-ელზე დამატებით კანდიდატებს უნდა მისცემოდათ განაცხადების შეტანის შესაძლებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაგრძელებულიყო კანდიდატების შერჩევის პროცესი.

მოლაპარაკებების წარმოებისას, ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ზე-მოაღნიშნული შეთანხმების მიხედვით მოქმედების შემთხვევაში, აზრი აღარ დაეკარგებოდა მოსამართლეთა შერჩე-ვის მიმდინარე პროცესს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედ შემადგენლობას პროცედურის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა მიეცემოდა!

აღნიშნული ზეპირი შეთანხმება ზედმიწევნით აისახა კრისტიან დან-იელსონის მიერ 31 მარტს გამოქვეყნებულ პოლიტიკური შეთანხმების პირველად პროექტში, რომლის შესა-ბამისად მოქმედება „ქართულმა ოცნებამ“ ჯერ კიდევ დოკუმენტის ხელმოწერამდე, მარტში დაიწყო და საქართველოს პარლამენტს შესაბამისი კანონპროექტი ინიციატივის წესით 24 მარტს წარუდგინა.

შეგახსენებთ, რომ 31 მარტს, როდესაც კრისტიან დანიელსონმა საქართველო დატოვა და პოლიტიკური შეთანხმების პირვანდელი პროექტი გამოაქვეყნა, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გააკეთა საჯარო განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებთან და სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ყოველგვარი პოლიტიკური შეთანხმების ხელმოწერის გარეშეც განახორციელებდა.

სწორედ ამ დაპირებისა და კრისტიან დანიელსონის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის შესაბამისად, საპარლამენტო უმრავლესობამ ბოლომდე მიიყვანა დაწყებული პროცესი და „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებები აპრილში სამი მოსმენით მიიღო.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ზედმიწევნით ასახავს ვენეციის კომისიის ყველა საკვანძო რეკომენდაციას: დაინერგა კენჭისყრის სრული ღიაობა და საჯაროობა; შემოღებულ იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების ქულების შესაბამისად მიღების წესი; შემოღებულ იქნა საბჭოს გადაწყვეტილებების ოთხმაგი გასაჩივრების წესი.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი გაიგზავნა ვენეციის კომისიაში, რომელსაც არცერთ ზემოაღნიშნულ პუნქტთან დაკავშირებით არავითარი შენიშვნა არ წარმოუდგენია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტს პოლიტიკური შეთანხმების პროექტით გათვალისწინებული ყველა პირობა 19 აპრილამდე უკვე შესრულებული ჰქონდა, 31 მარტს გამოქვეყნებული ტექსტი 19 აპრილს ხელმოწერილ შეთანხმებაში უცვლელი სახით დარჩა. ამ და სხვა მსგავსი გარემოებების თაობაზე „ქართულმა ოცნებამ“ საქმის კურსში ჩააყენა საერთაშორისო პარტნიორები, რომელთაგან მივიღეთ თხოვნა, 19 აპრილის შეთანხმებაზე დამატებითი ცვლილებების გარეშე მოგვწერა ხელი, რათა დაზუსტებებს დამატებითი პოლიტიკური გართულებები არ გამოეწვია, დოკუმენტში არსებული უზუსტობები კი აღსრულების პროცესში დაგვზუსტებინა. ჩვენ პარტნიორების აღნიშნულ თხოვნას ანგარიში გავუწიეთ. სწორედ ამ ზეპირი შეთანხმების შედეგი იყო, მაგალითად, რომ ოთხთვიანი ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმი საარჩევნო კოდექსში ოთხკვირიანი მექანიზმით შეიცვალა.

ამრიგად, ზედმიწევნით შესრულდა პოლიტიკური შეთანხმების ყველა პირობა: ხელისუფლებამ „თავი შეიკავა“ უზენაესი სასამართლოს მოსამართ-ლეების ძველი წესების შესაბამისად განწესებისგან; საერთაშორისო პარტნიორებთან შეჯერებული რეკომენდაციის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ „დააპაუზა“ გასაუბრების პროცესი; პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ზედმიწევნით ასახავს ვენეციის კომისიის სამივე საკვანძო რეკომენდაციას; ახალმა კანონმა დამატებით კანდიდატებსაც მისცა განაცხადების შეტანისა და შერჩევის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა.

შესაბამისად, პროცედურები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების წარდგენასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და პოლიტიკური შეთანხმების შესაბამისად წარიმართა.

აღნიშნული გარემოება საქართველოს პარლამენტს აკისრებდა ვალდებულებას, ემოქმედა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად და აერჩია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები.

აქვე შეგახსენებთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ზედმიწევნით გაითვალისწინა ვენეციის კომისიის 2019 წლის რეკომენდაცია, რომლის თანახმად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ერთი ნახევარი მეცხრე, ხოლო მეორე ნახევარი – მეათე მოწვევის პარლამენტის მიერ უნდა არჩეულიყო. მანამდე, გატარდა ე.წ. პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ტალღის რეფორმები, რომლებმაც საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან დადებითი შეფასება დაიმსახურა. გატარდა საკონსტიტუციო რეფორმა და ჩამოყალიბდა სასამართლო ხელისუფლების თავის ახალი რედაქცია, რომელმაც ვენეციის კომისიისგან ასევე მაღალი შეფასება მიიღო.

ამ ფონზე, შემაშფოთებელია, რომ ცალკეული ჩინოსნების არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამო, ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის სტრუქტურებს უმაღლეს დონეზე მიეწოდება დამახინჯებული ინფორმაცია პოლიტიკური შეთანხმების შესრულების შესახებ. ამგვარი ქმედებები საფრთხეს უქმნის ნებისმიერ დიალოგს, რომელიც სხვადასხვა შიდაპოლიტიკური საკითხის გარშემო მომავალში შეიძლება გაიმართოს.

პოლიტიკური მოლაპარაკებების მსვლელობისას, მოლაპარაკებების შინაარსის შესახებ მუდმივად ვაწვდიდით დეტალურ ინფორმაციას სამთავრობო გუნდსა და საპარლამენტო უმრავლესობას. შესაბამისად, გუნდის თითოეული წევრი ზედმიწევნით იყო ინფორმირებული დოკუმენტის დეტალების შესახებ და მათ სწორედ ამ დეტალების გათვალისწინებით მიიღეს გადაწყვეტილება 19 აპრილის შეთანხმებასთან შეერთების შესახებ. შესაბამისად, გუნდის თითოეული წევრისთვის გასაკვირი და შემაშფოთებელია განცხადებები და შეფასებები, რომლებიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევასთან დაკავშირებით ვრცელდება.

„ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლიდან თვისებრივად გარდაქმნა სასამართლო სისტემა. სისტემა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის რეპრესიული მანქანის ერთ-ერთი მთავარი რგოლი იყო, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული ადამიანების დევნაში, ბიზნესის რეკეტსა და უამრავ სხვა სისტემურ დანაშაულში, დღეს დგას სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სამსახურში. აღნიშნული ფუნდამენტური პროგრესი გამოხატულია როგორც სტატისტიკური მონაცემებით, ისე მაღალრეპუტაციული საერთაშორისო ინსტიტუტების რეიტინგებით. თუმცა, გვესმის, რომ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა მუდმივ განმტკიცებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ჩვენ გამოვხატეთ მზაობა სასამართლო რეფორმის გაგრძელებასთან დაკავშირებით და ამ ამოცანას საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად განვახორციელებთ. სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის შემდგომი განმტკიცება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ამოცანაა. შეგახსენებთ, რომ აქედან გამომდინარე, სასამართლო რეფორმის გაგრძელება არის არა მხოლოდ 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების, არამედ „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის შემადგენელი ნაწილიც.

მზად ვართ, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან ნებისმიერ ფორმატში დეტალურად განვიხილოთ პოლიტიკური შეთანხმების შინაარსი და მისი შესრულების მდგომარეობა, რაც საბოლოოდ ნათელს მოფენს სიმართლეს.

დასასრულს, მადლობას ვუხდით ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამერიკელ ხალხს, სახელმწიფო დეპარტამენტს და პირადად ენტონი ბლინკენს საქართველოს და მისი ევროატლანტიკური მისწრაფებების ძლიერი და მრავალმხრივი მხარდაჭერისთვის.

16.07. 2021 წ.

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომამისჯილი პირები ოზურგეთში სკვერის მოვლა-დასუფთავებაზე იზრუნებენ

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ დღეს მოაწერეს. ღონისძიებას გურიის მხარის სახელმწიოფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე ესწრებოდა.

აღნიშნული მემორანდუმის მიზანია ხელი შეუწყოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბენეფიციარების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და საზოგადოებაში მათ სრულყოფილ ინტეგრაციას.

დოკუმენტის თანახმად, მსჯავრდებულები, რომელთა სასჯელიც საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ითვალისწინებს, ოზურგეთის მერიის შესაბამის სამსახურებში დასაქმდებიან. კონკრეტულ მსჯავრდებულთან ან განრიდებულ პირთან გაფორმდება ინდივიდუალური ხელშეკრულება, სადაც გაწერილი იქნება შესასრულებელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახე, ვადა, სამუშაო ადგილი და სხვა.

კონჭკათში გზა ჩამოიშალა

კონჭკათის ტერიტორიულ ერთეულში, შუა ღელის უბანში, მეწყერის ჩამოწოლის შედეგად ბეტონის გზა ჩამოიშალა და მცხოვრებლებს გზა ჩაუკეტა.

ოზურგეთის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ ტერიტორიის დაზიანებული საგზაო მონაკვეთი დათვალიერა, ადგილობრივებს შეხვდა და დახმარებას შეპირდა.

აღნიშნულ უბანში, მერმა მოსახლეობასთან ერთად სარეაბილიტაციო და ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაგეგმა. მერიის შესაბამისი სამსახურები მიწის შვესებასა და გზის გამაგრების სამუშაოებს ხვალიდან დაიწყებენ.

გურიის აგროტურისტული ფესტივალი „ჩაის გზა“ წვერმაღალას პარკში

იზმი, საზღვაო ტურიზმი და მაქვს ბედნიერება, მხარი დავუჭირო ასეთ პატარა მხარეს, ასეთი დიდი შესაძლებ-ლობებით. მადლობა ორგანიზატორებს, მერიას, გუბერნიას, ყველას, ვინც ჩვენთან მუშაობს ამ განვითარების გზაზე, – განაცხადა ქალბატონმა **ანა ჩერნიშოვამ**.

კონსტანტინე შარაშენიძე (ოზურგეთის მერი): – *ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის და ეკონომიკური წინსვლისთვის მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენს მუნიციპალიტეტში პირველი ჩაის ბუჩქი დაირგო. ჩვენ გვესმის, რომ ეს არის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი სერიოზული, წამყვანი, ეკონომიკურად გამართლებული დარგი. იყო ჩავარდნის პერიოდი, რომელიც არა მარტო ჩაის, არამედ სხვა კულტურებსაც შეეხო ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო. დღეს საქართველოს მთავრობისტული მიმართულებების განვითარების საკითხში მნიშვნელოვანი როლის შემტან ფესტივალს, არამედ უფრო ნათლად წარმოაჩენს ჩვენი ლამაზი მხარის უნიკალური ტურისტულ პოტენციალს და განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს მას. რეგიონში ტურიზმის განვითარება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება ჩვენი მთავრობისთვის და ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება ჩვენს რეგიონში, რომელიც იძლევა შესაძლებლობას რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა აღმოაჩინოს გურია თავისი უნიკალური ტურისტული ლოკაციებით განსაკუთრებული, გამორჩეული კულტურული ძეგლებით, სამთო და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩაის დარგის განვითარება იყოს ერთ-ერთი პრიორიტეტი. ძალიან სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯებია. ამაში, რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტი თავისი რესურსით არის ჩართული. ასეთი ღონისძიებები აუცილებებია პოპულარიზაციისთვის, ტურიზმის განვითარებისთვის, რეგიონის ცნობადობის გაზრდისთვის. დაახლო-ებით 40 წელია ოზურგეთში არ ყოფილა ჩაის სანერგე. მუნიციპალიტეტმა თავისი რესურსებით შეძლო და გავაკეთეთ პატარა სანერგე ძლიერი სპეციალისტების ჩართულობით. ვგეგმავთ, მომ-ავალში, ყველას, ვისაც აქვს სურვილი გადადგას ნაბიჯები ამ მიმართულებით, დავუდგეთ გვერდში.*

გიორგი ურუშაძე(გურიის მხარის გუბერნატორი):–*მოხარული ვარ რომ გურია უკვე მეორედ მასპინძლობს ჩაის გზის ფესტივალს, რომელიც თავისი შინაარსით საუკეთესო მიმართულებას წარმოადგენს აგრო-ტურიზმის განვითარებაში. გურიის რეგიონში ჩაის გზის ფესტივალი წარმოადგენს არა მარტო ტურსაქართველოში. სწორედ მათი ორგანიზებით და მხარდაჭერით ჩატარდა 2019 წელს პირველი „ჩაის გზის ფესტივალი.“ ისინი ჩვენთან არიან დღესაც და იმედი მაქვს რომ ასე გაგრძელდება მომავალშიც. გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით უამრავი სასიკეთო პროექტი განხორციელდა და ხორციელდება ჩვენს რეგიონში. ვიტოვებ იმედს რომ მომავალშიც მოგვეცემა შესაძლებლობა გავაგრძელოთ მჭიდრო პარტნიორული თანამშრომლობა.*

ფესტივალი „ჩაის გზა“ 2019 წლიდან გაეროს განვითარების პროგრამის (**UNDP**), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის საგენტოს (**SDC**), ავსტრიის განვითარების სააგენტოს (**ADC**), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ტარდება, რაც დონორი ორგანიზაციების და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთანამშრომლობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

ფესტივალზე გურიის რეგიონში წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, პრეზენტაცია-დეგუსტაცია მოეწყო. ასევე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი თაფლის, მშრალი ხილის, ღვინის და კენკრის ნაწარმი.

სოფელ მელექედურში პროექტ „ჩაის გზის“ ფარგლებში მე-5 ტურისტული ლოკაცია გაიხსნა, რომელიც ტურისტებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს სთავაზობს მონაწილეობა მიიღოს ჩაის კრეფის და გადამუშავების პროცესში, შემდეგ კი სადეგუსტაციო სივრცეში დააგემოვნოს ადგილობრივი ნაწარმი.

ფესტივალის მიზანია სასტუმროებს და ყველა დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია გურიის ტურისტული პოტენციალის შესახებ ,

სიახლე მეჩაიე ფერმერებისთვის - ჩაის ბუჩქის გასხვლის ინოვაციური ტექნიკური საშუალება“

გასხვლის ინოვაციურ იტექნიკური საშულება“ (ექსპერიმენტული ნიმუში), რომელიც დამზადებულია საქართველოს პატენტის - **GE U 20202040 Y** მიხედვით გაეროს განვითარების პროგრამის(**UNDP Georgia**) დაფინანსებული პროექტის - „პროფესიული განათლების სისტემების მოდერნიზაცია საქართველოს სოფლის მეურნეობისს ფეროში ფაზა 2“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი (ყოფილი გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი). საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (**UNDP**) და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიისთან თამშრომლობის ოფისის (**SDC**) დაფინანსებით.ინოვაციური ტექნიკური საშულების და პატენტის ავტორებია: **ბახვა დოლიძე** - ტექნიკის დოქტორი; **ზურაბ ანდღულაძე** – ინჟინერი--კონსტრუქტორი; **თემურ რევი-შვილი** – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი; ლიანა შავიშვილი – ბიოლოგიის დოქტორი.

ტექნიკური საშუალების დამამზადებელია -შპს **„ტრაქტორ-სერვისი“** (ქ. ქუთაისი).

მოწყობილობა შედგება სატრანსპორტო საშუალებასთან (სერიული წარმოების მოტობლოკი) დაკიდების სისტემით დაკავშირებული სასხლ ავიაპარატისგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის ყლორტების ზრდა-განვითარება და საბოლოო ჯამში პლანტაციის პროდუქტიულობა, უპირატესად დამოკიდებულია მოვლა-მოყვანის პირობების შესაბამისობაზე მცენარის ფიზიოლოგიურ და ბიოლოგიურ თავისებურებებთან. ისეთი სპეციალური მეთოდების ზემოქმედების შედეგად, როგორიცაა შპალერული გასხვლები და სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ნორჩი დუყების კრეფა, ჩაის მცენარე იძენს ინტენსიური დუყწარმოქმნის თვისებას და მასში იცვლება ბუნებრივად მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები. ჩაის ბუჩქის საკრეფად მომზადების რეგულირება დამოკიდებულია აგროტექნიკურ ღონისძიებებზე, ნიადაგის განოყიერებასა და რიგთაშორისების დამუშავებაზე, გასხვლის ვადებსა და სახეებზე, ფოთლის კრეფის წესებზე და სხვა. აგროწესების თანახმად ფოთოლსაკრეფ პლანტაციებში აუცილებელია შპალერული გასხვლის დადადგენილი წესით კრეფის ჩატარება. ეს რაციონალური სისტემა უზრუნველყოფს ჩაის ფოთლებში ფოტოსინთეზის, სუნთქვის და ტრანსპირაციის პროცესების გაძლიერებას, რაც განაპირობებს მოსავლიანობის ზრდას, ნედლეულის და მზა ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

ამ სპეციალური მეთოდების გამოყენებით აქტიურდება ჩაის მცენარის ბუნებრივად მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები და შესაბამისად დუყწარმოქმნის ინტენსივობა. მაშასადამე, შესაძლებელი ხდება მოსავლიანობის და ხარისხის მართვა ჩაის პლანტაციების მოვლითი სპეციალური მეთოდების და ინოვაციური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ გამოფენაზე წარდგენილი ჩაის სასხლავი ინოვაციური ტექნიკური საშუალების მოქმედების პრინციპს გაეცნო და საქმიანი შეკითხვების დასმის შემდეგ შესაძლო თანამშრომლობაზე ისაუბრა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა იმამურა აკირამ.

ფესტივალის დასრულების შემდეგ ჩატარდა მცირე სამექნიზაციო ინოვაციური ტექნიკური საშუალების გამოცდა საველე პირობებში, ლიხაურის ფერმერულ ჩაის პლანტაციაში და მიღებულია დადებითი შედეგი.

თემურ რევიშვილი
ა(ა)იპსაქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

გურულ მოჯირითეთა უცნობი დეტალები

ყარამან კალანდარიშვილი

ინტერვიუ ჩაწერილია 2001 წლის 6 აგვისტოს, ყარამანის ცოლის ლისა ლომინაძის ძმისშვილ **ციალა ლომინაძესთთან** სოფელ კვირიკეთში.

ყარამანი და გიორგი ძმები იყვნენ, ამავე დროს გურიაში ცნობილი მოჯირითის ივანე მახარაძის ცოლის ძმები.ცხოვრობდნენ სოფელ კვირიკეთში.გიორგის საფლავი ახლაც არის კვირიკეთის სასაფლაოზე, ეკლესისთან ახლოს. გადმოცემით , ყარამანის საფლავიც კვირიკეთშია, მაგრამ დაკარგულია. გიორგის საფლავს აქვს წარწერა დაიბადა 1858 წელს გარდაიცვალა 1906 წელს. გიორგის შვილიშვილი სუზი ცხოვრობს თბილისში.

ყარამანი და გიორგი ამერიკაში წაიყვანა სიძემ, ივანე მახარაძემ 1893 წელს.ამის შესახებ გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: „ბათუმი. ამას წინათ წავიდა აქედამ გურიაში ჩიკაგოს გამოფენის გამგელთა სანდო კაცი,რომელსაც დავალებული ჰქონდა ,შეჰკრიბე რამდენიმე ცხენოსანი გურული ვაჟკაცი და ჩიკაგოს გამოზავნეო. ამ კაცს უკვე შეუკრებია ეს დასი ,რომელშიც ათი კარგი ვაჟკაცია, მშვენივრად გამოწყობილი და შეთოფიარაღებული. ეს დასი ჩამოვიდა ბათუმს და მოკლე ხანში დაემგზავრა კიდეც ამერიკას“.



გურული ცხენოსნები ნიუიორკში ჩავიდნენ 1893 წლის 10 აპრილს გემით „სპარსეთის მონარქი“.

ჯგუფში შედიოდნენ:ივანე მახარაძე - „პრინცი“ (პრინცს ხელმძღვანელს ეძახნენ,თეთრი ჩოხა ეცვა), ლუკა ჩხარტიშვილი, ქიშვარდი მახარაძე(ივანეს ძმა), ყარამან კალანდარიშვილი (ცოლის ძმა) , ივანე მახარაძე პატარა, მეტსახელად „ჩოხაგრძელა“(ივანეს ბიძაშვილი), ს. დგებუაძე, სილიბისტრო მახარაძე (ივანეს ბიძაშვილი), გიორგი კალანდარიშვილი ცოლის ძმა), იოსებ ტალახაძე და პავლე მახარაძე (ივანეს ძმა). ისინი ჯირითობდნენ ადამ ფორეპას და ბუფალო ბილის შოუში.

ყარამანი და გიორგი გლეხები იყვნენ. ფლობდნრნ მიწის ფართობს, დაახლოებით 3 ჰექტარს და ამუშავებდნენ.

ყარამანს ჰყავდა ერთი ქალიშვილი მარიამი (ჟიფო), როდესაც ყარამანიამერიკაში წასულა, გოგონა 1 წლის ყოფილა.სეზონის დასრულების შემდეგ მოჯირითეები სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ამერიკიდან ახალდაბრუნებულ ყარამანს ავად გაუხდა ტიფით.. წამლის დამზადების მოლოდინში ყარამანს ხის ძირში დაეძინა თურმე, დაემართა ფილტვების ანთება და მალე გარდაიცვალა. მისი ავადმყოფი ცოლი დაკრძალვას არ დასწრებია. ეს იყო ალბათ 1895-1896 წლებში. ყარამანის გარდაიცვალების შემდეგ მისი ცოლი ლისა სრულიად ახალგაზრდა ბავშვთან ერთად ,ძმამ იაგორ ლომინაძემ მამის ოჯახში წამოიყვანა.

ყარამანის შთამომავლებიდან ქალიშვილ მარიამისაგან დარჩა :სიმონი, არკადი (პედაგოგი ჩაის მრეწველობის ტექნიკუმში, ამჟამად გარაცვლილი),თინა და ყარამანი. ყარამანი დაიღუპა სამამულო ომში,ცოცხალია მისი შვილი თინა.

როდესაც ეს მასალები ბატონ რიჩარდს გადავუგზავნე ამერიკაში, იგი დაინტერესდა თუ როგორ მკუნალობდნენ პნევმონიას გურიაში ძველად. ამის გასაგებად გურიაში ცნობილ პროვიზორ სიმონ უჯმაჯურიძეს (ამჟამად გარდაცვლილ) ვესტუმრე.

მან მიამბო: მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ანტიბიოტიკები საერთოდ არ იყო. ფლემინგმა იგი მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოიგონა ინგლისში, რომლის რეალიზება მოხდა 1944 წელს. ასევე მოგვიანებით გამოიგონეს სულფიდინიც და სხვა დანარჩენიც. რომც ყოფილიყო ანტი ბიოტიკები გურულებისათვის მაინც ხელმიუწვდომელი იქნებოდაო , მიპასუხა. ძველათ გურიაში ხალხური მეთოდებით მკურნალობდნენ, ეს იყო:

1. „ბანკები“ (კოტოშები) გვერდზე დააყრიდნენ ალმოდებულ პატარა „ბანკებს“, რამდენიმე ხნის შემდეგ მისით მოძვრებოდა.

2.მდოგვის ფოთლებით გვერდებზე, კეჟერა ფხალი შუბლზე(სიცხეს გამოიტანდა). ძმრითა და არყით სხეულის დაზელა. ტყლაპითა და თაფლით გვერდების შეხვევა (ტყლაპზე დაასხამდნენ თაფლს და შეუხვევდნენ).

3. ყინულით, მაღალ სიცხეზე შუბლზე დაადებდნენ ყინულს. გურიაში იყო გორდელაძეების ოჯახი, რომელიც თოვლს ინახავდა.

როგორც ამბობენ, დიდი იყო მსხვერპლი ფილტვების ანთებით დაავადებულთა. თავად პროვიზორ სიმონ უჯმაჯურიძის მამა 3 დღეში გარდაცვლილა. ვისაც კი დაემართებოდა ანთება, იშვიათად გამოდი-ოდა მდგომარეობიდან.

სამწუხაროდ , ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ყარამან კალანდა-რიშვილი,სრულიად ახალდაზრდა კაცი.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების მთავარი
მცველი

ალიონი 90

1938

ჭადრაკი

6 აპრილს მახარაძის მასწავლებელთა სახლში გაიხსნა საჭადრაკო ტურნირი. ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა 16 მასწავლებელი. თამაში სწარმოებს დეკადის ყოველ მეხუთე-მეექვსე დღეს საღამოს 5 საათიდან. გამარჯვებულებს მიეცემათ ოთხი კატეგორიის ჯილდო: 200 მან, 150 მან., 100 მან., 50 მან. ა საქალაქო ტურნირში მონაწილეობის უფლება. ტურნირი დამთავრდა 12 მაისსს.

გათამაშებული ცხრა პარტიის შემდეგ მდგომარეობა ასეთია:

გრ. კალანდარიშვილმა მიიღო 9 ქულა, შ. ჭანუყვაძემ – 6,5, მ. გოგატაძემ – 6 (ერთი გაუთ.), ი. ორაგვლიძემ და დ. დუმბაძემ – 5-5, ა. რამიშვილმა – 4 (2 გაუთ.), ვ. მეგრელიძემ – 4 (1 გაუთ.), ე. დონაძემ – 3,5 (2 გაუთ.), ი. ჩიროზიდიმ – 3,5 (1 გაუთ.), გრ. მახარაძემ – 3,5 (1 გაუთ.), ტ. გორგაძემ – 3, ტ. დუმბაძემ – 2,5, ა. სალუქვაძემ და ა. მიქელაიშვილმა მიიღეს 2-2 ქულა (1 გაუთ.)

გ. კალანდარიშვილი.
№35, 10 მაისი, 1938 წ.

დაუსრულებელი „რემონტი“

რამდენიმე დღეა, რაც გაღმა დვაბზუს კოოპერატივს პური არ გამოუცხვია. ქაური კოლმეურნეები პურის საყიდლად შუა დვაბზუში დადიან. ს ხელს უშლის მათ მუშაობაში, განსაკუთრებით კი ახლა, როცა გაცხოველებული მუშაობაა მინდვრად.

დვაბზუს კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე დომენტი დარჩია

მიგბაძოთ ნატანებს

ნატანების ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, რემედასის ორგანიზაცია კარგად მუშაობს. 1938 წლის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით რემედასის ორგანიზაციამ აიღო ვალდებულებები წევრთა ზრდის, წარმოდგენების გაშვების, რემედასის ნაკვეთის კარგად დამუშავების, მასობრივი მუშაობის გაშლის საქმეში და სოც. შეჯიბრში გამოიწვია გურიანთის რემედასის ორგანიზაცია.

საჭიროა რემედასის სხვა ორგანიზაციებმა აიღონ მაგალითი

ნატანების კოლმეურნეობის სტ

თავს იმით იმართლებს, რომ ფურნეში რემონტი მიდისო.

დ. დარჩიამ თავი უნდა დაანებოს დიყლაპიობას და გაღმა დვაბზუს კოლმეურნეები უზრუნველყოს შესაფერი მომსახურებით...

კოლმეურნე.
№36, 14 მაისი, 1938 წ.

10 შვილის დედა

ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს ვარვარა იაკობის ასული გოცემბრიელი.

ვ. გოცემბრიელს ამჟამად ცოცხალი ჰყავს 10 შვილი, აქედან 8 ვაჟი და 2 ქალი. პირველი შვილი დაბადებულია 1915 წელს, უკანასკნელი კი – 1934 წელში.

ვარვარა გოცებრიელი ითვლება მეურნეობის სტახანოველ მუშად, რომელიც ჩაის კრეფის გეგმას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს.

№40, 29 მაისი, 1938 წ.

სისტემატურად აცდენენ მეცადინეობას

მაკვანეთის პირველად პარტორგანიზაციასთან ჩამოყალიბებულია წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი პოლიტსკოლა, რომელშიაც 11 სკოლა მეცადინეობს.

მაგრამ ზოგიერთი მსმენელები სისტემატურად აცდენენ მეცადინეობას. ასეთებია: სიმონ ინგოროყვა, ნანა კეკელიძე, ბიჭიკო ბაბილოძე და შოლომონ ბაბილოძე

მეცადინეობაზე სისტემატურად ცხადდებიან და განვლილ მასალას კარგად ითვისებენ: ელისო ბილიხოძე, დიმიტრი მუჯირი, სოფიო ველიჯანოვი და სხვ. საჭიროა ჩამორჩენილებმა მიბაძონ მოწინავეებს.

სოლომონ მამინაიშვილი.
№48, 30 ივნისი, 1938 წ.

ცირკი მახარაძეში

ქ. მახარაძეში ჩამოვიდა ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტთან არსებული №1 საკოლმეურნეო სახცირკი, რომელიც მოტავსებულია თეატრის მოედანზე.

ცირკმა მუშაობა დაიწყო 19 ივნისიდან, რაიონში დარცება იგი 10 ივლისამდე.

ცირკში მონაწილეობე საუკეტესო არტისტები, რომლებიც შესანიშნავად ასრულებენ ნომრებს, რამაც მაყურებლებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ჩამოსვლიდან დღემდე ცირკის წარმომადგენლები 6 000-ზე მეტმა მაყურებელმა ნახა. ადმინისტრაციას განხრახული აქვს თავისი დადგმები მოაწყოს რაიონის ყველა კოლმეურნეობაში.

მაყურებელი.
№47, 26 ივნისი, 1938 წ.

პატარა ფელეტონი ფოსტის გამგე „იშკილი“ და ბუბაქაქუჩელა

რაიკავშირგაბმულობამ
მომსპო,
მომინელა,
ძლიერ
სასწრაფო
საქმეებს
შეგისრულებს ნელა.
ღამე
მისთვის
ნათელია
და დღეი კი ბნელა,
ტელეფონთან
საუბრობენ
თამრო და ნათელა....
ეხვეწები
– შემაერთე
ლაითურს ან
ურეკს,
გაცდიებს და
ბოლოს
ყურობ:
„საქვაჭრობას“ ურეკს
გაზეთები
დასტამბულა,
გადაზიდვა
უნდა, -
ამას
ფოსტა
რას დაგიდევს,
განიავდეს თუნდაც.
„ტრუბკა“
ყურთან
მიიღე და
– ჰა, სადგურო,
– ჰყვირი,
გინდა
გამგეს
მოახსენეთ
შენი გასაჭირი...
რისი გამგე,
რისი ფლანი,
ანდა რისი
ფსტანი,
ამ საკითხზე
სულ არ ფიქრობს,
ჩვენი ამირანი.
ფოსტის გამგე
რამიშვილი
და მათი
“იშკილი“
სასწრაფო
დავალებები
დეპეშები-
ხშირი
– დუხები და
პამადები
ერთად არის
ყველა
აბა საქმე
ვის-ღა
ახსოვ
ბუბა ქაქუშელა

გაბრიელა იშტიანი
№48, 30 ივნისი, 1938 წ.

ექსკლუზივი

ნასაკირალის კრიმინალური ქრონიკა

მამუკა გოგუაძე

დასაწყისი იხ გაზ. „ალიონი“ №№ 34-36 2020 წ. №№ 1-14, 2021 წ

— მარტიკიანო, როგორ ფიქრობ, როსტოვში წასვლის წინ, ვინმე ნაცნობი ხომ არ გინახავს ნატანების სადგურში?

— არა.

— გადაჭრით ამბობ?

— კი.

— შეიძლება, ეს არაფერს ცვლიდეს, მაგრამ შენ და შენი მხლებლები მატარებლის გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე გნახეს.

— მე მარტო ვიყავი. ოთხი ბილეთი იმიტომ ავიღე, კუპეში მარტოდ ვყოფილიყავი.

— კარგი. დავაზუსტოთ ესეც. შემოიყვანეთ ბიჭები.

სერგოს მითითებით შემოიყვანეს და მწკრივში დააყენეს ოთხი ბიჭი, სხვადასხვა სიმაღლის, დაახლოებით ისე ჩაცმულები, როგორც თვითმხილველმა აღწერა და როგორც ახსნა-განმარტებაში ეწერა — ყელზე კაშნებშემოხვეულები და შუბლზე ქუდჩამოფხატულები. სხვებთან ერთად, ანალოგიურად ჰყავდათ გამოწყობილი მარტიკიანიც. ერთ-ერთი ბიჭი იურიმ პროკურორის მაგიდასთან მიიყვანა.

— გია, ამ პიროვნებებიდან ხომ არ გეცნობა რომელიმე? არ იჩქარო, კარგად დააკვირდი და თუ გინახავს, სად ნახე ბოლოს, რა ვითარებაში?

შემოტრიალდა გია. პროკურორმა თვალი უქნა იურას, ბიჭისგან შორიახლოს მდგარიყო, ამოცნობის შემთხვევაში რაიმე ექსცესი არ მომხდარიყო.

რამდენჯერმე ჩაიარა ამომცნობმა ამოსაცნობების მიმართულებით.

მარტიკიანს გაახსენდა, რომ ნატანების სადგურზე, ნახევრად სიბნელეში ოთხი ბიჭი შეამჩნია. როცა მატარებლისკენ დაიძრნენ, იმ ოთხიდან ერთ-ერთის გამოხედვა თითქოს ეცნო, თვალი თვალში რომ გაუყარა, მან კი სწრაფად დახარა თავი, კაშნეთი ცხვირი დაიფარა, ქუდი ჩამოიფხატა, სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას და ვაგონში ავიდა. კი, ამდენი ხნის შემდეგაც გაახსენდა ყველაფერი, ის თვალებიც, დაჟინებით, რომ უცქერდა. ბავშვობაში, ორი ბიჭის თანხლებით, მაღაზიიდან სურსათი მოიპარა. საქმე აღიძრა და დააკავეს ერთი, რომელმაც, ალიყური გაჰკრეს თუ არა, ყველაფერი დაფქვა. დაიჭირეს მარტიკიანი და პირობითი მისცეს, ციხეში არ ჩასვეს, არასრულწლოვანი იყო. დიდხანს ეძებდა ჩამშვებს. სანამ ნახავდა, თვითონ მივიდა ის ბიჭი და ბოდიში მოუხადა. მაგრამ მარტიკიანთან ბოდიში არ ჭრიდა. გააბოზა, ლამის მოკლა ცემაში და ბიჭებს უთხრა, სადაც ნახავთ, როგორც ბოზს, ისე მოეპყარითო. თვალებში ჩახედა, ჩააფურთხა და ასე დატოვა ნატანების რკინიგზის სადგურის მიდამოებში. ისაა? ის ხომ ახლა არ დაინდობს, არადა... რაღაც ხავსს ეჭიდება, იქნებ ბიძაშვილი მაინც დააძვრინოს ამ საქმიდან.

— უფროსო, მე ამათი კაშნეს პირზე აფარება და ქუდის ჩამოფხატვა არ მჭირდება, თვალებში უნდა ჩავხედო ყველას, — თქვა გიამ.

— იურა, მიხედე, — უთხრა ლომაძეს პროკურორმა.

გია მივიდა პირველთან, ჩახედა თვალებშიც, არაო, ჩაილაპარაკა.

მარტიკიანი წინა ამოცნობაზე მესამე იყო, ახლა, ცრურწმენით, მეხუთე დადგა...

რაც უფრო ახლოვდებოდა რიგი, მით უფრო უჭედავდა გონებას გიასადმი ის სასტიკი მოპყრობა. ჰქონდა რაღაც იმედი, რომ გია ვერ იცნობდა, მაგრამ... ფიქრებში წასულმა თვალები მილულა.

— თვალი გაახილე! — ჩაესმა ნაცნობი ხმა და მიხვდა, რომ მისი რიგი მოვიდა.

ბრძანებებს დაუმორჩილებელმა უფრო უნებლიეთ გაახილა თვალი.

— როგორ ხარ, ოვანეს? მაინც გნახე, ხომ ხედავ? — ამოცნობილისთვის ამომცნობს უცებ მოქნეული ხელი კინაღამ მაჯაში გადაამტვრია იურიმ.

— დაწყნარდი, გია. არ გეშლება? — ჰკითხა პროკურორმა

— ამ მხეცის თვალებს რა დამავიწყებს, ლამის ყველა ღამით მელანდებოდა ძილში.

პროკურორმა ბრძანება გასცა, ზედმეტი ხალხი გასულიყო კაბინეტიდან.

ამოცნობაზე პირისპირ დასვეს გია ბეგლარიანი და ოვანეს მარტიკიანი. ბეგლარიანმა ყველაფერი დაწვრილებით მოყვა მათი ნაცნობობის შესახებ, თითქმის იმ სიზუსტით, რა სიზუსტითაც გაიხსენა ეს ამბავი მარტიკიანმა თავის ფიქრებში.

— იმ დღესაც ვიცანი, მაგრამ ნასვამი ვიყავი, ჩხუბი რომ ამეტეხა და ეს არ ყოფილიყო, ტყუილად ავიკიდებდი „სროკს“. ამის თვალებს რა დამავიწყებს? უმოწყალოდ მომექცა, ლამის მომკლა. მაგას, ჩემი აზრით, ახლა თხუთმეტ წელს მაინც მიუსჯიან, ციხიდან რომ გამოვა, აქეთ ჩამომსვლელი არაა, მე კიდევ რუსეთში ვერ ჩავალ ანგარიშის გასასწორებლად.

—„აბაროტი“ ვერ აგიღე ოვანეს, მაგრამ იმ დროის გასახსენებლად ერთს მაინც ჩაგხედავ თვალებში. — უცებ წამოხტა, თავი აუწია და ზუსტად ისე ჩააფურთხა თვალებში, როგორც ეს მარტიკიანმა გაუკეთა ბავშვობაში.

— იურა, რას აკეთებ? — თითქმის იყვირა პროკურორმა.

ბეგლარიანი გარეთ გაიყვანეს და იქ მყოფმა ბადრაგმა მილიციაში გადაიყვანა. როგორც შემდგომ გაირკვა, .

სამუშაო დღე სრულდებოდა. პროკურორმა მძღოლი გამოიძახა და უთხრა, ნოე მომინახე, სასწრაფოდ მოვიდესო. ნოდარს დაურეკა, სასწრაფო და აუცილებელი საქმე მაქვს, ერთი საათის ფარგლებში ნოე გამოგივლის და ერთ ადგილას უნდა წამომყვეო. შემდეგ ბეგლარს დაუკავშირდა ტელეფონით, თხოვა, ყველა საქმე გადაედო და მასთან ერთად წამოსულიყო. როცა ამ საქმეს მორჩა, მიალაგა ოთახი, კაბინეტი დაკეტა და დაბლა ჩავიდა. მონკავშირში შეიარა, კაპიტონი ადგილზე იყო, წრიალებდა წასასვლელად. გაუხარდა მამუკას დანახვა, მოიკითხა, სახლში დაპატიჟა, ცხელ ხაჭაპურებზე. წამოიყვანე, ვინც გაგიხარდება, ხელი არაფერზე მეშლებაო, უთხრა.

— ბიჭო, სახლში ხაჭაპურზე მეპატიჟები და სამსახურში „პეჩენიებს“ მიგზავნი? — გაეცინა მამუკას, — მთლად კარგი ხუმრობა არ გამომივიდა, არ გეწყინოს. წავიდეთ? აგერ ბეგლარი და ნოეც წამოვლენ. — გარეთ მომლოდინე მეგობრებისკენ გაახედა...

— მამია ენვერიჩ, სანამ კაპიტონთან წავიდოდეთ, ძიმითში ავირბინოთ, ხუთწუთიანი საქმე მაქვს. — ნოემ მანქანა დაქოქა.

უხაროდა კაპიტონს, რომ მასთან იკრიბებოდნენ, წინასწარ აწყობდა გეგმებს. ძიმითში ჩავიდნენ და როცა ჭიშკარში სტუმრებს გია გამოეგება, მერე მიხვდა, რომ ეს მეგობრების მორიგი ხუმრობა იყო.

— ნიკალაი ყარამანოვიჩ, გამახარე, რომ აქ დამხვდი.

— აბა, დისშვილის დაბადების დღეზე არ უნდა ვყოფილიყავი?

ნიკოლოზ მგელაძე პროკურორის ბიძა იყო — დედის ძმა, თითქ-მის ტოლები იყვნენ, მხოლოდ ორი წლით უფროსი იყო ბიძა დისშვილზე. უკვე ვთქვით, რომ ერთად გაატარეს სტუდენტობის და ცხოვრების უმკაცრესი წლები.

მამუკამ ფეხით მოიარა ეზო, ყველა კუთხე და კუნჭული მოინახულა, წყლის წისქვილთან ჩავიდა, იქვე ჩამოჯდა და ფიქრებმა წაიღო — ბებია, ბაბუა, დედისა და მამის მოგონება...

— იუბილარს ველოდებით, — დაუძახა გიამ.

წამოდგა, ნაღვლიანად შეხედა წისქვილს და იქვე დატოვა ბავშვობის დროიინდელი მოგონებები...

მართლაც, ჩინებული საღამო გამოვიდა — სოფლის პურმარილი, რომელსაც ბავშვობის სურნელი ასდიოდა, გამართულად ნამღერი გურული სიმღერები, დათიკოს დაუვიწყარი თამადობა, თამადის სამწლიან ჩხავერს დაწაფებული მოქეიფეები...

როგორც წესი, ცხრას თხუთმეტი წუთი აკლდა, რომ სამსახურში მივიდა. სარკესავით ბზინავდა შემოსასვლელი, მისაღები, კაბინეტი. დღეს ურთულესი დღე იყო, ერთმანეთს უპირისპირებდნენ მარტიკიანსა და ამ საქმის ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტს. ამ დაპირისპირებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის ბოლომდე მისაყვანად...

— გამარჯობა, მამია ენვერიჩ.

— გამარჯობა, ნინა ხარიტონოვნა, ჩაი მოგვიანებით, ათ საათზე იურა შემოვიდეს, — მოკლედ მოჭრა პროკურორმა...

— იური, დღევანდელი დღე დაიხსომე. ეს დღე შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანიც კი დარჩეს შენს საგამოძიებო საქმიანობაში. აქ მიღებული პრაქტიკა მომავალშიც გამოგადგება. ფხიზლად და ზედმიწევნით ყურადღებით იყავი, რაიმე ინციდენტი არ მოხდეს.

— კი, ბატონო, წინა შეცდომა არ განმეორდება.

ბადრაგმა ისევ იმ დროს ამოიყვანა მარტიკიანი და დაიწყო მოწმესთან მისი დაპირისპირება. ბრალდებული არც კი დაინტერესებულა მოწმის ვინაობით, იჯდა თავჩახუნული.

— მაიძულებდა, თურქეთში გადამეყვანა.

ხმა ეცნო მარტიკიანს და თავი ასწია, ჯემალ ანთიძეს სურდა თავის დაძვრენა ამ საქმიდან.

— რასაც ამბობს, სიმართლეა? ეთანხმები? — ჰკითხა პროკურორმა.

მარტიკიანმა, დასტურის ნიშნად, თავი დაიქნია, გულში კი გაიფიქრა, იყოს, იქნებ „სვაბოდაზე“ გაუშვან და იხეიროსო. ყველაფერზე დასტურს იძლეოდა, არავისთვის სიტყვა არ შეუბრუნებია. მეზობლებმა გასწირეს და ამას წინ ვერ აღუდგებოდა.

დაპირისპირებისა და დაკითხვის დაწყებიდან სამი საათის შემდეგ, პროკურორმა თქვა, ერთი საათით შევისვენოთ, ოთხზე განვაგრძოთო...

როგორც იქნა, დაცარიელდა ოთახი. დაღლილმა პროკურორმა მილიციის უფროსის ნომერი აკრიფა. იქნებ ადგილზე იყოსო. გაუმართლა, როცა თამაზმა ყურმილი აიღო:

— თამაზ, საღამოთი არაფერი დაგეგმო. ერთი, ამ საღამოს მე და შენ ფეხით შემოვიაროთ ქალაქი, საქმე მაქვს, ცხოვრებაში ჯერ რომ არ მქონია, ისეთი გადაწყვეტილება მაქვს მისაღები და რჩევა უნდა გთხოვო.

— „იზაბელაში“ რომ ვივახშმოთ, არ შეიძლება? ჩვენთვის ჭამა-სმა კი არ აუკრძალავთ, მამუკა. ცალკე დავსხდებით, ქალაქსაც გადავხედავთ, ვერც ვერავინ გაიგონებს ჩვენს საუბარს. ისე, გავიგე, რომ ამ საქმის დამთავრების შემდეგ რაღაცას გიპირებენ. — ჩვეულ სტილში შეაპარა თამაზმა. თითქოს არც გაუგონია, ისე გაატარა მამუკამ ბოლო სიტყვები...

— აბა, ოვანეს, გავდივართ ბოლოში. ვინმე ხომ არ გამოგვრჩა, ვისთანაც ამ პერიოდში ურთიერთობა გქონდა, საქმიანი შეხვედრებით დაამახსოვრე თავი?

მარტიკიანმა გახედა, შეეცადა ჯიუტად თვალი გაესწორებინა პროკურორისთვის, მაგრამ მის გამჭოლ მზერას, მთელ სხეულში რომ დაუარა, ვერ გაუძლო და თავი დაღუნა:

— შენ უკეთ იცი, უფროსო.

— ვერ იხსენებ?

— აზრი არ აქვს გახსენებას.

— გახსოვს? გკითხე, ფული თუ გიყვარს-მეთქი და იქვე გითხარი, ფულის სიყვარულმა დაგღუპათქო.

გაახსენდა. როგორ არ გაახსენდა, მაგრამ რა ექნა? სუფთა საქმე ეგონა და ხაფანგში გაება. ისე, რომ არ დაბრუნებულიყო, შეიძლებოდა გადარჩენილიყო კიდეც, სახელსა და გვარს შეიცვლიდა და სადმე შორეულში გადაიკარგებოდა საცხოვრებლად. ასეც აპირებდა, მაგრამ...

— ამ კაცს თუ იცნობ, ოვანეს?

ფიქრებში წასულს არც კი გაუგონია, როგორ გასცა ბრძანება პროკურორმა არონ წიწუაშვილის შემოყვანაზე. თვალი გაახილა და როცა მის მოპირდაპირედ არონი დაინახა, თავი უემოციოდ გადაიქნია. მოისმინა, წიწუაშვილმა რა ზედმიწევნით ზუსტად აღწერა მკვლელობის შემდგომი ეპიზოდები. ქურდულს აწვებოდა და ნაქურდალი სად შეინახეო, ხომ არ ჰკითხავდა, დაინდო, არაფერი უთხრა, შეატყო, რომ საქონლის ნახევარზე მეტი მოტეხილი ჰქონდა, მაგრამ რას იზამდა? არონთან ფულისთვის დაბრუნებული გზაში დაიჭირეს. ამას გულისხმობდა პროკურორი, როცა უთხრა, ფულმა დაგღუპაო. არონი იყო ბოლო მოწმე, რომელმაც ამ საქმიდან, ალბათ, ყველაზე მეტი იხეირა, ჩაუშვა და ნაქურდალიც გააქრო, მაგრამ ამდენს რომ არიფ არონს არ დაუტოვებდნენ, ეს ტანმა უგრძნო.

— ღმერთმა შენი სიმართლით გატაროს, არონ. — ეს იყო ბრალდებულის ბოლო სიტყვები დამქანცველი დღის ბოლოს.

(გაგრძელება იქნება)

ანეკდოტები კომუნისტებისაგან კომუნიზმზე

ცნობილი ჟურნალისტი და პოლიგრაფისტი **ვაჟა ჭანუყვაძე,** მთარგმნელობით მუშაობასთან ერთად აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში მან შექმნა ანეკდოტების კრებული „ანეგდოტები კომუნისტებისაგან კომუნისტებზე“, რომლის წიგნად გამოცემას ეშურებოდა. ამ დროსის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო, ეს წიგნი არ გამოუცია, თუმცა ის დღესაც აქტუალური და ამონარიდებს გაცნობა მკითხველთთათვის არ იქნება ურიგო.

ნამდვილი ისტორია არ გვისწავლია...

ნამდვილ ისტორიას არ გვასწავლიდნენ...

სსრკ, ლენინი, სკკპ, კომუნიზმი, ხალხი...მიწიერი ბედნიერების ეს გაბერილი სიმბოლოები ბუშტივით გასკდა, მაგრამ დაზიანდა მხოლოდ ხალხი, რადგან სხვა დანარჩენი მოგონილია. თვითონ ლენინიც ხომ ნამდვილი სახელი არ არის.

ხალხი განწირული იყო იმისათვის, რომ ვერ ემართა თავისი ბედნიერების საჭე. ეს საბრალო გოლიათი ნაბიჯსაც ვერ დგამდა რცევისა და ზედამხევლელობის გარეშე.

„ყოველი ხალხი იმ მთავრობის ღირსია, რომელიც მას გააჩნია“, —თქვა ერთმა ახლადგამოჩეკილმა ბრძენკაცმა.

მაშინ, მოდით, გავიხსენოთ ყველა ისინი, ვინც გვყავდა, ყველა ისინი, ვისაც ვყავდით.

გავიხსენოთ არა ცრუ სახელმძღვანელოების მშრალი სტრიქონებით, არამედ პირგაუჩერებელ მეანეგდოტეთა ზუსტი დახასიათებით.

ნუ გეშინიათ! თამამად გადაფურცლეთ ეს წიგნი და გაიღიმეთ! გინდაც იცინეთ! გინდაც იხარხარეთ!

ჩვენი ისტორიკოსები იმაზე იმტვრევენ თავს, როგორი უნდა იყოს ახალი სახელმძღვანელო? ეს წიგნი რა, ცუდი იქნება?

იუმორის გრძნობის გარეშე ხომ ჩვენივე ისტორია ბევრად უფრო ნოკლე იქნებოდა>

* * *

ქირურგი, არქიტექტორი და პოლიტიკოსი იმაზე შეკამათდნენ, ვისი პროფესიაა ყველაზე ძველი.

—ევა შეიქმნა ადამის ნეკნიდან, ეს ქირურგიული ოპერაციაა, —თქვა ქირურგმა.

—მაგრამ მანამდე ხომ ღმერთმა ქაოსისაგან შექმნა სამყარო! - შესძახა არქიტექტორმა. —ეს რა თქმა უნდა არქიტექტორის საქმეა.

— არ დაგავიწყდეთ,— შეაწყვეტინა პოლიტიკოსმა,— პირველად ხომ ვიღაცამ ხომ ქაოსი შექმნა.

* * *

— მითხარით გეთაყვა, თქვენ კომუნისტი ხართ?

—არა. მე თანაგრძნობი ვარ, თანავუგრძნობ, მაგრამ დახმარება არ შემიძლია.

* * *

რეპროდუქტორიდან მოისმის: „დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ სამუდამოდ გაათავისუფლა ხალხი კაპიტალიზმის ჯაჭვებისაგან.“

დედაბერი ეუბნება შვილიშვილს:

—სწორია, ასეც იყო. მახსოვს მაშინ ჩვენთან მატროსები მოვიდნენ, ყველაფერი გადააქოთეს და მერე ოქროს ჯაჭვი მომხსნეს.

* * *

რევოლუციამ გაიმარჯვა. კომუნისტი აღტაცებით არწმუნებს დედამისს:

—ახლა კი ყველაფერი თავზე საყრელი გვექნება: საჭმელი, სასმელი, საქონელი, საზღვარგარეთაც გაგვიშვებენ!

დედა სიხარულით მიუგებს:

-მთლად ისე ყოფილა, როგორც მეფის დროს.

* * *

რომელი ქვეყანაა ყველაზე უბიწო?

—საბჭოთა რუსეთი! არცერთ ქვეყანასთან კავშირი არ აქვს.

* * *

—მეგობარო, პირდაპირ მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, დგახართ თუ არა საბჭოთა ხელისუფლების გვერდით?

—რა თქმა უნდა ვდგავარ, ჯდომას ისევ დგომა მირჩევნია!

* * *

საბჭოთ მუშების დელეგაცია აშშ-ში საავტომობილო ქარხანას ეწვია.

დელეგატები ეკითხებიან გიდს:

—ვის ეკუთვნის ეს ქარხანა?

—ფორდს.

—ეს ვისი მანქანები დგას დასაყენებელზე?

—მუშების.

საპასუხო დელეგაცია ამერიკელი მუშებისა ჩამოდის საბჭოთა კავშირში.

იგივე კითხვები:

—ვის ეკუთვნის ეს ქარხანა?

—მუშებს, —პასუხობს პარტკომის წევრი.

—ის მანქანა დასაყენებელზე?

—დირექტორს.

* * *

—არა გრცხვენია? როგორი ჯანმრთელი ხარ და მათხოვრობ. მუშაობაა საჭირო!

—მეც ხომ სამუშაოს შემდეგ ვმათხოვრობ!

* * *

—ვანია რას ნიშნავს „შემხვედრი გეგმა?“

—აბა, როგორ აგიხსნა, მანია? აი, მაგალითად, შენ მეუბნები: „მოდი დღეს ორჯევ ვქნათ!“ მე კი მაშინვე გაგებებ შემხვედრს გეგმას: „მოდი ვქნათ სამჯერ!“თუმცა ორივემ კარგად ვიცით, რომ ხეირიანად ერთიც არ გამოგვივა.

* * *

ინტერვიუ ჰენრი ფორდთან:

—როგორ მოიქცეოდით თქვენს მუშებს რამდენჯერ რომ გადაეჭარბებინათ საწარმოო ნორმები?

—გავყრიდი ყველა ინჟინერს, რომლებიც ასეთ ნორმებს აწესებენ!

* * *

ერთ სოფელში ღელეზე გადეს ხიდი. სტრატეგიული მოსაზრებით მიუჩინეს დარაჯი: ხიდს ხომ დაცვა ესაჭიროებოდა. დარაჯის შრომის ანაზღაურებისათვის გამოყვეს მოლარე, აღრიცხვის მოწესრიგებისათვის აიყვანეს ბუღალტერი, ხოლო საერთო ხელმძღვანელობისათვის დანიშნეს გამგე...და ა.შ.

მალე მოვიდა შტაბის შემცირების განკარგულება...და დაითხოვეს დარაჯი.

ვაჟა ჭანუყვაძე

სკანვორდი





პასუხები:

: ხუთიაზე ბგერებიდან; ერთეული; ოთა; ფრიდრიხ; ქალის სახელი (ეთელი; ოსკარი; ძია — ალი; ბინდი — ნაბიჯი; ეგვიპტელი ცეროვანი — ნოსორეული; ქალის სახელი; ბერი — ალ; ბალი; ბერი — ალ; ბალი; ბერ-ალ; ბალ; ბერ — ალ; ბალ; ბერ — ალ; ბალ; ბერ —

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა
(1917 წლის ნოემბერი)

ინსტრუქცია, რომელიც ერძინჯანის სომეხთა რაზმის მეთაურმა მურადმა, ბაიბურთის რაზმის მეთაურს არშაკს გაუგზავნა და არშაკის პასუხმა მურადისადმი დამარწმუნა, რომ სომხების მიერ ოსმალეთის მუსლიმი მოსახლეობის დარბევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია. ოსმალეთის მუსლიმი მოსახლეობის სიცოცხლის,ღირსებისა და ქონების დაცვა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

ვეჰიბ ფაშას წერილს ილია ოდიშელიძემ მეორე დღესვე 1918 წლის 30 (12 თებერვალს) იანვარს უპასუხა. წერილში აღნიშნულია, რომ ოსმალო გენერლისათვის ცნობები ძალზე გაზვიადებული სახით მიუწოდებიათ. ამის შემდეგ ქართველი გენერალი ოსმალო გენერალს ასეთ ფაქტებს აცნობებდა:

1. ქალაქ ტრაპიზონში და ქალაქიდან სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე, ოსმალები მუდმივად ესხმიან თავს ადგილობრივ ბერძენ მოსახლეობას, რაც რუსეთის ჯარისა და ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის მხრიდან სათანადო ზომების მიღებას ითხოვდა;

2. ბაიბურთის რაიონში, ოკრუგის კომისრის მოხსენების მიხედვით, მუსლიმი მოსახლეობის ძალადატანით შეკრებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო ბაიბურთისა და მისი შემოგარენის მუსლიმმა მოსახლეობამ ბაიბურთის ოკრუგის კომისარს რამდენჯერმე გადაუხადა მადლობა მუსლიმებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამო;

3. რაც შეეხება 1918 წლის 15-16 (28-29) იანვარს, ერძინჯანში განვითარებულ მოვლენებს, მის შესახებ პირადად მე და პოლკოვნიკმა მორელმა თქვენ დროულად გაცნობეთ. პოლკოვნიკ მორელის მოხსენებიდან ირკვევა, რომ სომხებმა მხოლოდ 200 მუსლიმი დახოცეს;

4. რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობის ინტერესების დაცვა კავკასიის არმიისა და მისი სარდალისათვის სრულებითაც არ იყო უმნიშვნელო, რის გამოც მკაცრად დაისჯებოდა მუსლიმი მოსახლეობის ყველა დამრბევი.

ოსმალეთის მხარე არ დაკმაყოფილა გენერალ ილია ოდიშელიძის პასუხმა. გამორიცხული არ არის, რომ ვეჰიბ ფაშა არასწორ ინფორმაციას ეყრდნობოდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ილია ოდიშელიძის პასუხიც არ ასახავდა რეალურად არსებულ ვითარებას. 1918 წლის 30 იანვარს (12 თებერვალი) კავკასიის არმიის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელაძესა და კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს ინფანტერიის გენერალ მიხაილ პრჟევალსკის (მიხაილ პრჟევალსკი ამ დროისათვის უკვე კავკასიაში აღარ იმყოფებოდა და მის მოვალეობას გენერალი ევგენი ლებედინსკი ასრულებდა – ვ. გ.) კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიის სარდალმა მეჰმედ ვეჰიბ ფერიკ ფაშამ აცნობა, რომ ოსმალეთმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: ისე, რომ არ დაარღვიოს 1917 წლის 5 (18) დეკემბრის დროებითი ზავის პირობები, ოსმალეთის არმიის ზოგიერთი ნაწილი რუსეთის არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გადაისროლოს. ამ ცნობის მიღების შემდეგ 31 იანვარს (13 თებერვალი) კავკასიის არმიის სარდალმა გენერალმა ილია ოდიშელიძემ პოლკოვნიკ სამარცევს უბრძანა:

1. რუსეთის ჯარის ყველა სამხედრო ნაწილი დისლოკაციის ადგილზე დარჩეს;

2. ოსმალეთის არმიის ჭარბი ძალების შემოტევის შემთხვევაში ბრძოლაში არ ჩაებას და თანდათან დაიხიოს სარეზერვო ნაწილებისაკენ;

3. ოსმალების ძლიერი შემოტევის მიუხედავად შეჩერებულიყო ჩარბორიახტალა-ვანის ტბის ხაზზე და უკან აღარ დაეხია.

უცნობი იყო თუ რა მასშტაბის საბრძოლო ოპერაციებს წამოიწყებდნენ ოსმალები, კონკრეტულად რომელი მიმართულებით განავითარებდნენ შეტევას. 1918 წლის 1 (14) თებერვალს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა გენერალ-მაიორმა ევგენი ლებედინსკიმ ვეჰიბ ფაშას შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

1. მუსლიმი მოსახლეობის დარბევის შესახებ თქვენამდე მოსული ცნობები ძალზე გაზვიადებულია;

2. მუსლიმთა დარბევის ცალკეული შემთხვევები გამოწვეული იყო ქურთთა და მუსლიმთა რაზმების მიერ მართლმადიდებელი მოსახლეობის დარბევით;

3. მე არ შემიძლია ადამიანური და სხვა ჰუმანური მოსაზრებებით ავხსნა თქვენს მიერ ოსმალეთის ჯარების გადაადგილების შესახებ გაცემული ბრძანება, რომელიც ეწინააღმდეგება დროებითი ზავის პირობებს;

4. დაბეჯითებით გთხოვთ გაუქმოთ ოსმალეთის ჯარების გადაადგილების შესახებ თქვენს მიერ გაცემული ბრძანება;

5. მართალია თქვენ ოსმალეთის ჯარების გადაადგილების შესახებ ბრძანებას სიმშვიდის დამყარების პირობად მიიჩნევთ, მაგრამ სინამდვილეში ამ ბრძანებას მოყვება ვითარების დაძაბვა და მუსლიმი მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესება;

6. რუსეთს ოსმალეთის ტერიტორია ომის კანონების დაცვით უკავია და თუ ოსმალეთის არმია შეტევაზე გადმოვა, რუსეთის არმია მუსლიმი მოსახლეობის ინტერესებს ველარ დაიცავს, ხოლო დროებითი ზავის დარღვევის შედეგად მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება;

7. კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი ყველა ზომას მიიღებს რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მუსლიმი მოსახლეობის დასაცავად.

დასასრულს ევგენი ლებედინსკი ვეჰიბ ფაშას დამატებით აცნობებდა: 1. კავკასიის არმიის ბაზაზე ეროვნული ნიშნის მიხედვით სამხედრო ფორმირებები შეიქმნა, ეს ფორმირებები ოსმალეთის მხარემ რუსეთის არმიის სრულუფლებიან სამხედრო ნაწილებად უნდა განიხილოს; 2. გენერალმა მიხაილ პრჟევალსკიმ კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის უფლება-მოვალეობა მოიხსნა და 1918 წლის 5 (18) იანვრიდან მთავარსარდლის მოვალეობას იგი ასრულებდა.

ვითარება ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებამდე

1917 წლის 19 ნოემბერს (2 დეკემბერს), როგორც აღვნიშნეთ, ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთსა და გერმანიის სამხედრო ბლოკს (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი, ბულგარეთი) შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო. ცხადი იყო, რომ საზავო მოლაპარაკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სამხრეთ კავკასიაში, საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზღვრის დადგენა იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე წარმოდგენილი არცერთი ქვეყანა (საბჭოთა რუსეთი, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი, ბულგარეთი) ამიერკავკასიის კომისარიატს დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობად არ მიიჩნევდა და საერთოდ ამიერკავკასიას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ცნობდა, მით უფრო, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი არცერთ ოფიციალურ დოკუმენტში თავს დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობად არ აცხადებდა და მხოლოდ სამხარეო ხელისუფლების ორგანოდ იწოდებოდა. სწორედ ამიტომ **ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენელი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე მიწვეული ვერ იქნებოდა, თუნდაც ამის სურვილი გერმანიის სამხედრო ბლოკში შემავალ ქვეყნებს გამოეთქვათ. საბჭოთა რუსეთის მთავრობა**



არასგზით არ დათანხმდებოდა ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენლის მონაწილეობას საზავო კონფერენციაში, რადგან ამიერკავკასიას რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა. ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც საზავო მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენლის დასწრება ხელს აძლევდა ოსმალეთი იყო. ოსმალეთის ეს პოზიცია შემდეგი მოსაზრებით იყო განპირობებული: ოსმალეთი ეცდებოდა, რომ სამხრეთ კავკასიაში საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიები მიეტაცებინა. ოსმალეთის შემადგენლობაში საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების გადასვლა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციას კიდეც რომ დაედასტურებინა, მას არასგზით არ ცნობდა არც საქართველო და არც სომხეთი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ოსმალეთს ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაზე გადატანილი დიდი დიპლომატიური ბრძოლის შემდეგ ახალი ბრძოლების გადახდა მოუხდებოდა ამიერკავკასიის კომისარიატთან. მაგრამ თუ ამიერკავკასიის წარმომადგენელი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებას დაესწრებოდა და ოსმალეთი მას სხვადასხვა გზებით აიძულებდა საზღვრების შეცვლაზე თანხმობა განეცხადებინა, მაშინ ამიერკავკასიის კომისარიატს ბრესტ-ლიტოვსკში მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივი საფუძველი აღარ ექნებოდა. ამიტომ იყო, რომ 1918 წლის 3 (16) იანვარს კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდალმა **ვეჰიბ მეჰმედ ფერიკ ფაშამ** კავკასიის არმიის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძეს აცნობა, რომ მოკავშირე სახელმწიფოების მიერ ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენელი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე იყო მიწვეული. თბილისში სწორად ამოიცნეს ოსმალეთის დიპლომატიის მანევრი და ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაცია არ გაგზავნეს. ეს იყო პოლიტიკურად სწორი გადაწყვეტილება, რითაც ამიერკავკასიის კომისარიატმა მომავალ საზავო ხელშეკრულებაზე პასუხისმგებლობა მოიხსნა და თავისუფალი მოქმედების უფლება დაიტოვა.

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სულ უფრო და უფრო რთულდებოდა: ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მოლაპარაკება გაჭიანურდა, დაძაბული ვითარება იყო კავკასიის ფრონტზეც. 1918 წლის 1 (14) თებერვალს **ევგენი გეგეჭკორის** თავმჯდომარეობით გაიმართა ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: **აკაკი ჩხენკელი, ხალილ ბეი ჰაჯიბაბა ხას-მამედოვი, ფათალი-ხან ხოისკი, ვლადიმერ გობეჩია, ხუდადათ ბეი მელიქ-ასლანოვი, ხ-ი. კარჩიკიანი, შალვა ალექსი-მესხიშვილი, გ. გ. ტერ-გაზარიანი, მემედ იუსუფ ჰაჯიბაბა ჯაფაროვი, ა. ა. ერზინკიანი, გაზარიანი, გრიგოლ რცხილაძე, მემედ ჰასან გაჯინსკი, ა. ხ. კანტემიროვი, დ. მიასნიკოვი.** სხდომაზე ასევე მიწვეული იყვნენ: **ნოე რამიშვილი, მიხეილ პაპაჯანოვი,** ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა სამხარეო ცენტრის პრეზიდიუმი, გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრის თავმჯდომარე, კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი გენერალ-მაიორი **ევგენი ლებედინსკი,** კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი **ვლადიმერ ლევანდოვსკი.**

ევგენი გეგეჭკორმა სხდომას მოახსენა, რომ კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიის სარდლის ვეჰიბ ფაშას ცნობით, ამიერკავკასიის კომისარიატი, როგორც ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობა მოკავშირე სახელმწიფოების მიერ მიწვეული იყო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე. გენერალმა **ევგენი ლებედინსკიმ** დაადასტურა, რომ ანალოგიური შინაარსის დეპეშა ვეჰიბ ფაშასაგან კავკასიის ფრონტის შტაბმაც მიიღო. გენერალმა სხდომას ასევე აცნობა, რომ ვეჰიბ ფაშას ბრძანების თანახმად ოსმალეთის არმიის ნაწილებმა წინად დაწყებული გადაადგილება შეწყვეტეს, რის შედეგადაც აღდგა სადემარკაციო ხაზი.

ნოე რამიშვილმა სხდომას მოახსენა, იმის თაობაზე, რომ იგი პირდაპირი ხაზით ესაუბრა სამხრეთ-დასავლეთის კავშირის თავმჯდომარეს, და რომ საუბრის დროს განხილული იქნა რუსეთში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა.

ამიერკავკასიის სხდომაზე ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო 1918 წლის 1 (14) თებერვლისათვის თბილისში დანიშნული კონფერენცია, რომლის მუშაობაში ამიერკავკასიის კომისარიატის გარდა მონაწილეობა უნდა მიეღო უკრაინასა და სამხრეთ-დასავლეთის კავშირს. **მიხეილ პაპაჯანოვმა** ამ საკითხის განხილვის დროს აღნიშნა, რომ უკრაინა დამოუკიდებლად აწარმოებდა მოლაპარაკებას გერმანიასთან და ავსტრია-უნგრეთთან, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის კავშირი შეუძლებლად მიიჩნევდა 1918 წლის 1 (14) თებერვლისათვის თბილისში დელეგაციის გამოგზავნას. ასეთ ვითარებაში პაპაჯანოვის აზრით ამიერკავკასიის კომისარიატმა ოსმალეთს შეიძლება მხოლოდ წინასწარი პასუხი აცნობოს, ხოლო საბოლოო პასუხის ტექსტის შესამუ-შავებლად დაელოდოს ამიერკავკასიის სეიმის შეკრებას (სეიმის გახსნა 1918 წლის 10 (23) თებერვლისათვის იყო დანიშნული – ვ. გ.). მიხეილ პაპაჯანოვმა ორ პუნქტიანი წინადადება შემოიტანა: 1. *ზავის პირობების შესამუშავებლად შეიქმნას კომისია; 2. დაუყონებლივ გადაწყდეს თუ სად გაიმართება მოლაპარაკება, შეირჩეს მოლაპარაკებაზე გასაგზავნი წარმომადგენლები და სხვ.*

გენერალმა **ევგენი ლებედინსკიმ** თავის გამოსვლაში აღნიშნა: *1. რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ ოსმალეთის ტერიტორიაზე ვითარება სულ უფრო და უფრო იძაბება; 2. აუცილებელია დაჩქარდეს საზავო მოლაპარაკების დაწყება; 3. აუცილებელია ქალაქ ტრაპიზონის რაიონში არსებული რუსეთის არმიის საწყობების დაცვა, სადაც მილიონობით მანეთის სამხედრო საჭურველი და სხვა საქონელია დაცული; 4. უკრაინას ამიერკავკასიაში ინტერესები არ გააჩნია, რადგან მან ამიერკავკასიიდან უკრაინული კორპუსი გაიწვია; 5. სამხრეთ-დასავლეთის კავშირი საშინაო პრობლემების გადაჭრითაა დაკავებული. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კავკასიის ფრონტის სარდალმა დასკვნა: დაუყონებლივ ეცნობოს ვეჰიბ ფერიკ მეჰმედ ფაშას, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი მზადაა საზავო მოლაპარაკების დასაწყებად.*

ნოე რამიშვილი დაეთანხმა მიხეილ პაპაჯანოვსა და ევგენი ლებედინსკის ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დაუყონებლივ დაწყების თაობაზე და თავის მხრივ ასეთი წინადადებები წამოაყენა: 1. *მოლაპარაკება უნდა დაიწყოს არა მარტო ოსმალეთთან, არამედ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან; 2. მოლაპარაკების ტექნიკური მხარის მოგვარება მიენდოს ამიერკავკასიის კომისარიატს; 3. შეიქმნას კომისია, რომელიც მოამზადებს და ამიერკავკასიის სეიმს წარუდგენს დირექტივებს მოლაპარაკებაზე დანიშნულ ამიერკავკასიის დელეგაციისათვის; 4. მოლაპარაკებაზე დანიშნულ დელეგაციისათვის დირექტივებს საბოლოოდ ამიერკავკასიის სეიმი დაამტკიცებს; 5. ოსმალეთთან დაწყებული მოლაპარაკების შესახებ უნდა ეცნობოს გერმანიასა და მის მოკავშირეებს, ასევე მეზობელი ხალხების მთავრობებს; 6. გერმანიასა და მის მოკავშირეებს, ასევე მეზობელი ხალხების მთავრობებს ეცნობოს: იმის გამო, რომ ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან მოლაპარაკება შეწყვიტა ამიერკავკასიის კომისარიატი,თვითონ იწყებს ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებას იმ პირობით, რომ სადემარკაციო ხაზი შენარჩუნებული იქნება; 7. ამიერკავკასიის კომისარიატმა ოსმალეთს შესთავაზოს თავისი წინადადება მოლაპარაკების ადგილისა და დაწყების შესახებ.*

ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომაზე აღინიშნა, რომ საზავო მოლაპარაკების დასაწყებად ოსმალეთის შემოთავაზებული დრო დაემთხვა ამიერკავკასიის სეიმის გახსნისა და მუშაობის დროს (ამიერკავკასიის სეიმი უნდა გახსნილიყო 1918 წლის 10 (23) თებერვალს). ეს გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა, რადგან საზავო მოლაპარაკებისათვის ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ შემუშავებული პირობები ოსმალეთთან მოლაპარაკების დაწყებამდე ამიერკავკასიის სეიმს უნდა დაემტკიცებინა. ამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატმა დაადგინა:

(გაგრძელება იქნება)
ვახტანგ გურული

(გვ. 111-117)

ვახტანგ მამეიშვილის იუბილე და მერაბ ბერძენიშვილის ძეგლი ოზურგეთში

15 ივლისს მეტად ამაყი იყო ოზურგეთი. გურულების სათავო ქალაქში, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში – გალერეაში აღინიშნა „ოქროსპალიტროსანი“ მხატვრის, შემოქმედელი შემოქმედის, ნამდვილი პატრიოტის ბატონი **ვახტანგ მამეიშვილის** იუბილე.

აქვე, გალერეის წინ განთავსდა თანამედროვე სკულპტურის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის, განუმეორებელი მოქალაქის, უდიდესი მოღვაწის ბატონი **მერაბ ბერძენიშვილის** ძეგლი (ავტორი – ბატონი მერაბის მოსწავლე, მოქანდაკე გიორგი ჭანკოტაძე), ძეგლის გახსნის მისია ჩვენს 80 წლის იუბილარს ბატონ ვახტანგს ერგო.

ეს დღე, ამ ორი რეზონანსული ფაქტით, სამუდამოდ შევა ოზურგეთის კულტურის მდიდარ ისტორიაში არა ფურცლის, არამედ გაუხუნარი თავფურცლის სახით. ამაყი იყომეთქი ოზურგეთი, აღვნიშნე. აბა, რა იქნებოდა, როცა საიუბილეო ზეიმსა და ძეგლის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობდნენ სახვითი ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები როგორც დედაქალაქიდან, ისე საქართველოს თითქმის ყველა მხრიდან.

რუბრიკით „კოლორიტები“ ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ ვაპირებდი ბატონ ვახტანგზე ნარკვევის გაკეთებას, მაგრამ ვერ გავდებე. იმდენად მრავალმხრივი პიროვნებაა, შევშინდი, რაიმე არ გამომრჩეს, სიტყვიერად რაიმე არ დავაკლო-მეთქი ამ დიდებული კაცის წერილობით პორტრეტს. ახლა კიდევ უფრო საფრთხილოა, რადგან ბატონმა ვახტანგმა ბოლო ოცი წლის განმავლობაში იმდენი და ისეთი შედევრი შექმნა, თვალს რომ ვერ მოწყვეტ, გონებაში სამუდამოდ რომ ჩაგებეჭდება და აგამაღლებს. ამიტომ, თავს უფლება მივეცი, მესარგებლა მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით საიუბილეოდ გამოცემული უნიკალური კატალოგით:

„არიან ადამიანები, რომლებიც პიროვნული მაგალითით, გაკეთებული საქმეებით, თავმდაბლობით დამსახურებულად იმკვიდრებენ ღირსეულ სახელსა და ადგილს საზოგადოებაში. ასეთ გამორჩეულთა შორისაა ოზურგეთის მკვიდრი, „ოქროსპალიტროსანი მხატვარი, პედაგოგი, გულანთებული პატრიოტი, ბატონი ვახტანგ მამეიშვილი.. მის მიერ განვლილი გზა წარმოადგენს ხელოვნების, მხატვრობის, ეროვნული თავისუფლების იდეისა და ჭეშმარიტ-ების ძიების განუწყვეტელ პატიოსან მსახურებას შემოქმედებაშიც და ცხოვრებაშიც.

აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია მრავალმხრივად ვითარდება მისი შემოქმედებითი ინტერესები სახვითი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებით. ის თანაბარი პროფესი-ონალიზმით მუშაობს ფერწერაში, გრაფიკაში, გამოყენებით ხელოვნებასა თუ ხალხურ რეწვაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ღვაწლი ეკლესია-მონასტრების დაპროექტება-მშენებლობისა და საეკლესიო ნივთების შექმნაში (ხეზე ჭრა, ჭედურობა). გამორჩეულად დიდია მისი ინტელექტუალური ინვესტიცია საზოგადოებრივ ასპარეზზე. გასული საუკუნის 70-იან წლებში, მისი ინიციატივით, ჩამოყალიბდა ოზურგეთის სამხატვრო სკოლა, სადაც დღემდე ერთგულად ეწევა ის პედაგოგიურ მოღვაწეობას.

2021 წელს, მხატვრის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სამხატვრო სკოლის დირექციისა და გურიის კულტურის ფონდის ინიციატივით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება და ოზურგეთის სამხატვრო სკოლას მიენიჭა ვახტანგ მამეიშვილის სახელი.

თანამოაზრეების გუნდთან ერთად, ბატონმა ვახტანგმა ასევე ჩამოაყალიბა მხატვართა, არქიტექტორთა, დიზაინერთა ასოციაცია და სამხატვრო გალერეა. ეს უპირობოდ საეტაპო ნაბიჯები იყო რეგიონში სახვითი ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ცხოვრების მეოთხემოცე გაზაფხულზე, ენერგიით სავსე, შემოქმედებითი იდეებით დამუხტული ბატონი ვახტანგი ისევ ქმნის ახალ ნამუშევრებს და განაგრძობს თავისი წილი აგურის დადებას სამშობლოს სამსახურში.“ – ვკითხულობთ კატალოგში.

ვახტანგ მამეიშვილის იუბილესა და მერაბ ბერძენიშვილის ძეგლის გახსნის ცერემონიალზე ოზურგეთს სტუმრობდნენ:

მერაბ ბერძენიშვილის ოჯახის წევრი **გოგი ჩეჩელაშვილი**, რომელმაც ოზურგეთის გალერეას საჩუქრად გადასცა ბიუსტის პედესტალი; კულტურის მინისტრის მოადგილე **კახა სიხარულიძე**; ჟურნალისტი კულტურის სამინისტროდან **ხათუნა კიკვაძე;** საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე **გურამ ცერცვაძე;** სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი, მხატვარი გრაფიკოსი **ვახტანგ მეგრელიშვილი;** აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **გურამ ჭედია;** ქუთაისის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **ვალერიან მეძმარიაშვილი;** ქუთაისის დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმის დირექტორი **ელისო ჩოგოვაძე;** ქუთაისის ბავშვთა გალერეა „ათინათის“ დირექტორი **გოგი ლომთაძე;** ქუთაისელი მოქანდაკე **გიორგი კიკვაძე;** აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **გურამ ფუტკარაძე;** სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი **დავით შემოქმედელი;** ჩოხატაურის სამხატვრო გალერეის დირექტორი **გურამ ბერძენიშვილი;** მხატვრები თბილისიდან, ბათუმიდან, ოზურგეთიდან.

ღონისძიება მიჰყავდა ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძეს.** ბატონ ვახტანგს იუბილე მიულოცეს ასევე მასპინძლებმა: სამხატვრო გალერეის დირექტორმა, მხატვარმა გრაფიკოსმა **ავთანდილ თავართქილაძემ;** გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **თამაზ დარჩიამ;** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა **მარინა ჯაფარიძემ;** საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული განყოფილების ხელმძღვანელმა **როზა გოგუაძემ** და სხვებმა.

ვახტანგ მამეიშვილმა 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა შემოქმედის საშუალო სკოლა, 1960 წელს – ასევე წარჩინებით თბილისის მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, შემდეგ და კვლავ წარჩინებით – თბილისის სამხატვრო აკადემია.

1968 წელს მუშაობდა თბილისის საქპროექტის ინსტიტუტში, 1969 წელს – ქალაქ ოზურგეთის მთავარ მხატვრად. 1973 წელს მისი ინიციატივით გაიხსნა ოზურგეთის ბავშვთა სამხატვრო სკოლა. გახსნიდან 2006 წლამდე იყო ამ სკოლის დირექტორი, აქ დღემდე განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას. პარალელურად მუშაობდა რაიონში ინტერიერის გაფორმებაზე.

1988 წლიდან აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში და თანამოაზრეებთან ერთად ოზურგეთში ჩამოაყალიბა ექვთიმე თაყაიშვილის საზოგადოება. აირჩიეს ამ საზოგადოების თავმჯდომარედ.. 1988 წელს იყო საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის წევრი.

1988-1989 წელს მისი პროექტით აშენდა შემოქმედის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია.

1990 წლიდან არის „პელსინკის კავშირი- ეროვნული აღორძინების“ გამგეობისა და „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციის გამგეობის წევრი.

1994 წელს მისი პროექტით მოხდა სოფელ კვირიკეთის წმინდა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ეკლესიის რეკონსტრუქცია. 2000 წლიდან, შემოქმედელი მიტროპოლიტის იოსების კურთხევით, არის ეკლესიების მშენებლობათა კოორდინატორი გურიაში. 2003 წელს მისი და მისი შვილის ირაკლი მამაიშვილის მონაწილეობით აღდგა მთისპირის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. 2004 წელს მისი პროექტით აშენდა მთისპირში დედათა მონასტერი, ამავე მონასტრის ინტერიერი, კანკელი, ანალოღიები, მეუფის ტახტი შესრულდა მისი და მისი შვილის ირაკლი მამეიშვილის დეკორატიული ჭრით. 2005 წელს მისი პროექტით აღდგა ნაგომრის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესია. 2012 წელს ლაშა შაფაქიძის და მისი პროექტით აშენდა სოფელ გომის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია....

2013 წლის 23 ოქტომბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში აღინიშნა ვახტანგ მამეიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წელი, მოეწყო პერსონალური გამოფენა, გაიხსნა მისი სახელობითი „ოქროს პალიტრა“.

2015 წელს მისი პროექტით აშენდა წითელმთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

2017 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

2019 წელს მისი და არქიტექტორ დავით სვანიძის პროექტით საფუძველი ჩაეყარა გომისმთის ილია თუსბიტელის სახელობის ტაძარს.

სხვადასხვა დროს, შვილთან ერთად, მუშაობდა ერკეთის მონატრის ინტერიერის, კანკელისა და შიდა სივრცის სხვადასხვა ატრიბუტების შექმნაზე... გაფორმებული აქვს გრიგოლეთიბ, წყალწმინდის, იმერეთში სოფელ საწირეს, სამეგრელოში – მარტვილში, სოფ ინჩხურში წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ტაძრის ინტერიერის ატრიბუტები; სილაურში ეკლესიის კანკელი, ქიზიყში ეკლესიის კანკელი,, სამეგრელოში სოფ სალხინოს ეკლესიის კანკელი, დარიალის ხეობაში სამმეტრიანი ხის ჯვარი-ჯვარცმა, სოფ ბუკნარში ჯვარცმა, აცანის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის კანკელი და საეკლესიო ატრიბუტები, სოფ დვაბზუს ეკლესიის კანკელი და საეკლესიო ატრიბუტები.

ჰყავს მეუღლე ზინაიდა წერეთელი და ორი შვილი ირაკლი და ქრისტინა მამეიშვილები...

ბატონი ვახტანგი ჩვენი გაზეთის უძველესი მეგობარი და გულშემატკივარია. დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლესა და კვლავ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ ამ სანთელივით სუფთა კაცს, ყველა ადამიანური ღირსებით შემკულ პიროვნებასა და მოღვაწეს.

თემურ მარშანიშვილი

7 დღის ამინდის პროგნოზი

19 ივლისი ორშაბათი	20 ივლისი სამშაბათი	21 ივლისი ოთხშაბათი	22 ივლისი ხუთშაბათი	23 ივლისი პარასკევი	24 ივლისი შაბათი	25 ივლისი კვირა
მზე, +22+33	მზე, +20+32	ღრუბელი +19+27	ღრუბელი +16+23	ღრუბელი +17+21	წვიმა +16+22	წვიმა +16+21